

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

სტაჟირების წესი

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N5, 08/04/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 10/04/2019 წ. N ბ/1-01/11 ბრძანებით.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ეს წესი განსაზღვრავს შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სისტემაში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
- 1.2. სტაჟირების მიზანს წარმოადგენს:
 - 1.2.1. კადრების მომზადება სასწავლო უნივერსიტეტის სისტემაში საქმიანობის დამოუკიდებლად შესასრულებლად;
 - 1.2.2. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.
- 1.3. სტაჟირების მიზნების მისაღწევად, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის უზრუნველსაყოფად სასწავლო უნივერსიტეტი ახალგაზრდა სპეციალისტებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად იმუშაონ და გამოავლინონ შემოქმედებითი ინიციატივები.

მუხლი 2. სტაჟირების საკონკურსო კომისია

- 2.1. სტაჟიორთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით, რომელსაც ატარებს აბიტურიენტებისა და სტუდენტების მომსახურებისა და კარიერული მართვის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ხელმძღვანელის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია (შემდგომში – კომისია).
- 2.2. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის ხელმძღვანელი.
- 2.3. კონსკურსის შესახებ ინფორმაცია 15 სამუშაო დღით ადრე განთავსდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ელექტრონულ სისტემასა და დაწესებულების შენობაში საინფორმაციო სტენდებზე.
- 2.4. კონკურსი ტარდება გასაუბრების ან/და ტესტირების ფორმით. კონკურსის პირობებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიის წარდგინებით ადგენს სამსახურის ხელმძღვანელი, რაც აღინიშნება კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებაში.
- 2.5. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან, სადაც უნდა გაიაროს პირმა სტაჟირებამ.
- 2.6. კომისიის წევრები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე.
- 2.7. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

- 2.8. კომისიის მდივანი აწარმოებს კონკურსთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას, (გარდა სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაციისა), ადგენს ოქმებსა და სხვა შესაბამის მასალას.
- 2.9. კონკურსის თემატიკა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- 2.10. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
- 2.11. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- 2.12. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, და მდივანი.
- 2.13. კომისიის წევრს უფლება აქვს საკუთარი მოსაზრება დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 3. სტაჟირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

- 3.1. სტაჟიორთა მიღების პროცედურებსა და სტაჟირების გავლას კოორდინირებას უწევს აბიტურიენტებისა და სტუდენტების მომსახურებისა და კარიერული მართვის სამსახური (შემდგომში - სამსახური).
- 3.2. სამსახური უზრუნველყოფს კონკურსის მოსამზადებლად აუცილებელი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, კანდიდატთა განცხადებების მიღებას, მათი საბუთების შემოწმებას და შესაბამისი დოკუმენტაციის კომისიისათვის წარდგენას.
- 3.3. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არცერთი განაცხადი.

მუხლი 4. სტაჟირებისთვის შესარჩევი კონკურსის პირობები

- 4.1. სტაჟიორად მიიღება ნებისმიერ პირი, რომელსაც აქვს სასწავლო უნივერსიტეტის იმ სტრუქტურული ქვედანაყოფით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება ან/და სათანადო კომპეტენცია და უნარები, სადაც პირმა უნდა გაიაროს სტაჟირება.
- 4.2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატის მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებსა და მაგისტრატურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს.
- 4.3. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარადგინოს:
 - ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - გ) დიპლომის და ნიშნების ფურცლის ასლი, თუ კანდიდატს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო უმაღლესი განათლების არმქონე კანდიდატმა ცნობა შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

დ) CV

ე) ორი ფოტოსურათი (3X4);

4.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებისა და საბუთების შემოწმების ვადას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სამსახურის ხელმძღვანელი. აღნიშნული ვადები მიეთითება კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში.

მუხლი 5. სტაჟირების ვადა

5.1. საკონკურსო კომისიის წარდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას შერჩეული კანდიდატ(ებ)ის სტაჟიორად აყვანისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სტაჟირების ხელმძღვანელად დანიშნვის შესახებ.

5.2. სტაჟირების ვადა მოიცავს 3-დან არა უმეტეს 6 თვიან პერიოდს. ზუსტი ვადის დასადგენად გადაწყვეტილებას იღებს რექტორი სტაჟირების ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.

5.3. სტაჟირების ვადის ამოწურვის შემდეგ ხელმძღვანელი:

ა) დადებითად აფასებს სტაჟიორის მიერ შესრულებულ სამუშაოს და აძლევს კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელ სერტიფიკატს;

ბ) სტაჟირების შედეგებს არადადამაკმაყოფილებლად აფასებს;

გ) სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა-უნარების შესაბამისად რეკომენდაციას უწევს სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადასვლის და/ან ვაკანტური პოზიციის დაკავების შესახებ.

მუხლი 6. სტაჟირების მონიტორინგი და ვადაზე ადრე შეწყვეტა

6.1. სტაჟირების პროცესში სტაჟიორს აქვს სათანადო პირობები პროფესიული უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

6.2. სტაჟირების ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს სტაჟიორისთვის შესაფერისი პრაქტიკული სასწავლო გარემოს შექმნას, უშუალოდ წარმართავს პროცესების შესრულების მონიტორინგს. ის ვალდებულია სტაჟიორს მისცეს სწორი გეზი დაკისრებული საქმიანობის შესასრულებლად, განუსაზღვროს კონკრეტული ვადა და დროულად მიაწოდოს მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია.

6.3. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

6.3.1. შინაგანაწესით განსაზღვრული და/ან აღნიშნული წესით დადგენილი ნორმების დარღვევა;

6.3.2. წინასწარი გაფრთხილების გარეშე სამუშაოზე გამოუცხადებლობა ზედიზედ 3 დღის განმავლობაში

6.3.3. დავალების შეუსრულებლობა და/ან არაჯეროვნად შესრულება,

6.3.4. სტაჟიორის გადაყვანა შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე;

მუხლი 7. სტაჟორად შერჩეული კანდიდატის ვალდებულებები

7.1. სტაჟორად შერჩეული კანდიდატი ვალდებულია:

7.1.1 შერჩევიდან 1 კვირის მანძილზე გაეცნოს სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მარეგულირებელ წესს;

7.1.2. შეასრულოს ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული მოვალეობა გონივრულად შერჩეულ ვადაში;

7.1.3. სტაჟირებასთან დაკავშირებით ურთიერთობა ჰქონდეს ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან;

7.2. წინამდებარე წესის გაცნობისთანავე სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს დებულებით დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაზე მზაობას, რაც თან ერთვის მის პირად საქმეს;

7.3. სტაჟიორი ასევე წერილობით გამოხატავს სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადასვლის თანხმობას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის ამ დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ბრძანების ძალაში შესვლის მომენტიდან.

2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.